პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 10 (2730) ● შაბათი, 16 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მსოფლიოს ქალთა ტანვარჯიშულ სამყაროს უკვე რამდენიმე წელია ორი ფავორიტი ჰყავს — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. საერთაშორისო შეჯიბრებაზე მუდამ სწორედ მათ ორთაბრძოლაში წყდება პირველი ადგილის ბედი. ეს ტრადიცია ძალაში დარჩა ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზეც. მართალია, მასპინძლებიც თავდაუზოგავად ცდილობდნენ ფავორიტებისთვის კონკურენციის გაწევას, მაგრამ უძლიერესნი მაინც მიუწვდომელნი დარჩნენ.

ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეებმა ლ. ლატინინამ, პ. ასტახოვამ, ე. ვოლჩეცკაიამ, თ. მანინამ და ტოკიოში გამგზავრებამდე ტრავმირებულმა თ. ზამოტაილოვამ (ლიუხინა) იგაუკაცეს, მრავალჭიდის ჯამში **380,890** ქულა მოაგროვეს და ოქროს მედლების მეორე პრეტენდენტს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს **0,901** ქულით გაუსწრეს.

სამაგიეროდ, ჩეხოსლოვაკელთა ნაკრების ლიდერმა ვ. ჩასლავსკამ პირად პირველობაში „იძია შური“. ტანვარჯიშის ამ უბადლო ოსტატმა გამარჯვებისადმი დაუცხრომელი სწრაფვა და დიდი ნებისყოფა გამოამჟღავნა.

* * *

სურათებზე: მარჯვნივ — ზამოტაილოვა ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშის დროს, მარცხნივ — ჩასლავსკა ასრულებს ბჯენით ხტომას.

ფოტო ჟურნალ „სტადიონიდან“ (ჩეხოსლოვაკია).

ახალი კოსმოსური რეკორდები

14 იანვარს სსრ კავშირის ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სპორტული კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის ახალი კოსმოსური რეკორდები.

1964 წლის 12-13 ოქტომბერს კოსმონავტ-მფრინავთა ეკიპაჟმა — ხომალდის მეთაურის ვ. კომაროვის, მეცნიერ-თანამშრომლის კ. ფეოქტისტოვისა და ექიმის ბ. ეგოროვის შემადგენლობით, განახორციელა უდიდესი გაფრენა მრავალადგილიანი კოსმოსურ ხომალდ „აისით“.

საავიაციო სპორტულმა კომისიამ განიხილა სპორტული კომისრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მასალები და დაამტკიცა სსრ კავშირის ორი ახალი აბსოლუტური რეკორდი: ფრენის სიმაღლე — 408 კილომეტრი და ფრენის სიმაღლეზე უდიდესი მასის ატანა — 5320 კგ.

ერთდროულად დამტკიცდა მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდით ორბიტული ფრენის კლასში სსრ კავშირის 4 რეკორდი: ფრენის ხანგრძლივობა—24 საათი, 17 წუთი და 03 წამი; ფრენის სიშორე — 669784,027 კმ, აგრეთვე ზემოხსენებული ფრენის სიმაღლე და ფრენის სიმაღლეზე უდიდესი მასის ატანა.

ახლა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) მსოფლიო რეკორდების ცხრილში არ არის მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდებით ფრენაში მოპოვებული მიღწევების სარეგისტრაციო სკალა. იანვრის დამლევს ფაი-ს უახლოეს სხდომაზე საბჭოთა დელეგაცია მოახსენებს ჩვენი კოსმონავტების ფრენაზე და წინადადებას წამოაყენებს ამ რეკორდების მსოფლიო რეკორდებად დამტკიცებაზე და შესაბამის მასალებსაც წარადგენს.

ჯერჯერობით კი საბჭოთა კოსმონავტ-მფრინავებს მსოფლიოს 14 კოსმოსური რეკორდიდან 12 ეკუთვნით.

ესტაფეტა მიაქვთ მოსწავლეებს

ბაკურიანი, 15 იანვარი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** გუშინწინ აქ ერთდროულად ორი შეჯიბრება ტარდებოდა. უძლიერესთა საკავშირო ტურნირი ქალთა სპეციალური სლალომით დამთავრდა. უფროსებმა ესტაფეტა გადასცეს რესპუბლიკის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობის მონაწილეებს. ბავშვთა პაექრობაში თავი მოიყარა 10 გუნდის (ბორჯომის I და II, სამხრეთ ოსეთის, მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთისა და გარდაბნის) 140 სპორტსმენმა. სამწუხაროდ, სტარტზე არ ჩანდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ამბროლაურის კოლექტივები.

მისასალმებელია მოასპარეზეთა ასეთი სიმრავლე და დამაკმაყოფილებელი შედეგები. მოთხილამურეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე დამთავრებულ სახეობებში შეძლო სათანრიგო ნორმატივის შესრულება. გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომისა და მესტიის მოსწავლეთა კარგი მომზადება, რის შედეგად ამ გუნდების წარმომადგენლებმა ორი დღის განმავლობაში გათამაშებული ყველა 10 პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს ბორჯომის I გუნდის წევრებმა, ბაკურიანის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებმა დ. თვაურმა და ე. გავამ. თვაურმა თავი ისახელა 25-მეტრიანი ტრამპლინიდან 15-16 წლის ბიჭების ხტომაში. მან 202,4 ქულა მოაგროვა და აჯობა 17-18 წლის ჭაბუკთა ტურნირში გამარჯვებულ მესტიის საშუალო სკოლის მეათეკლასელ მ. მარგიანს — 199,4 ქულა. ე. გავამ გოგონათა გიგანტური სლალომის 800-მეტრიან ტრასაზე (20 კარით) უფრო კარგი დრო (51,0 წამი) აჩვენა, ვიდრე უფროსთა ტურნირში უძლიერესმა, გოგონათა საკავშირო შეჯიბრების მონაწილემ, მესტიის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ნ. ფალიანმა — 53,4 წამი.

გუნდურ ჩათვლაში ორი დღის შემდეგ ლიდერობენ ბორჯომის I და მესტიის გუნდები.

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები. I დღე: **17-18 წლის** მოსწავლეთათვის. **ჭაბუკები:** 10 კმ რბენა— გ. ვიბლიანი (მესტია, IX კლასი) 44.42,0; ბ. ქუმარიტაშვილი (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის IX კლასი) 44.43,0, ი. ზასოხოვი (სამხრეთ ოსეთი, ჯავის საშუალო სკოლის X კლასი) — 46.10,0; გიგანტური სლალომი (1000 მ, 25 კარი) — ე. გუჯეჯიანი (მესტია, X კლასი) 1.04,0, გ. მაკიევი (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის XI კლასი) 1.05,0, ვ. მიქაბერიძე (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის X კლასი) 1.08,0; 25 მ ტრამპლინიდან ხტომა — მ. მარგიანი — 199,4 ქულა (საუკეთესო ნახტომი 21,5 მ), ბ. ქუმარიტაშვილი — 186,8 ქულა, ვ. კოზანაშვილი (ბორჯომი II, ბაკურიანის საშუალო სკოლის IX კლასი) 186,5 ქულა. **გოგონები:** 5 კმ რბენა — ვ. აკოფოვა (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის X კლასი) 25.28,0, ლ. ხაჩიძე (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 26.12,0, ლ. დუდაევა (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის IX კლასი) 27.05,0; გიგანტური სლალომი (800 მ, 20 კარი) — ნ. ფალიანი — 53,4, ც. ჯეირანაშვილი (ბორჯომი, I, ბაკურიანის საშუალო სკოლის X კლასი) 54,7, ზ. გავა (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 58,7. **15-16 წლის** მოსწავლეთათვის. **ბიჭები:** 3 კმ რბენა — ჯ. გვარლიანი — 13.22,0, თ. ჯაფარიძე (ორივენი — მესტიიდან) 14 წუთი, დ. თვაური (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VII კლასი) 14.09,0; 25 მ ტრამპლინიდან ხტომა — დ. თვაური — 202,4 ქულა (საუკეთესო ნახტომი 19,5 მ), პ. შავკანი (ბორჯომი II, ბაკურიანის საშუალო სკოლის VII კლასი) 197,6 ქულა, ა. ბუძიშვილი (ბორჯომი II, ბაკურიანის საშუალო სკოლის VI კლასი) 188,6 ქულა; გიგანტური სლალომი (1000 მ, 25 კარი) — რ. აკოფოვი (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 1.16,4, ა. სტეფანიანი (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VII კლასი) 1.17,0, ლ. ხუბაევი (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი). 1.19,0. **გოგონები:** 2 კმ რბენა — მ. წარიტოვა (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VII კლასი) 11.51, ზ. ფილიევა (ბორჯომი, I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 11.53, ნ. ონიანი (ლენტეხი) 12.22; გიგანტური სლალომი (800 მ, 20 კარი) — ე. გავა 51,0, მ. თვაური (ბორჯომი I, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 1.01,3, ა. სამხარაძე (ბორჯომი II, ბაკურიანის საშუალო სკოლის VIII კლასი) 1.17,0.

თ. გაჩეჩილაძე

ბაკურიანს ახლა მოზრდილებიც ეწვივნენ. ესენი სტუდენტთა ლაშქრის პირველი წარმომადგენლები არიან, უმაღლესი სასწავლებლებიდან მოვლენილი პირველი მერცხლები, რომლებმაც წარმატებით მოიხადეს ვალი ზამთრის სესიების წინაშე და ახლა სრული უფლება აქვთ მთელის არსებით მიეცნენ ამ თოვლს, მზეს, ჰაერს, გართობას, მთელის არსებით დაეწაფონ თხილამურების „საიდუმლოებათა“ შესწავლას.

ამ შესწავლის კვალი თვალსაჩინოდაა აღბეჭდილი ამ სურათზე, კერძოდ, მოთხილამურე ქალიშვილთა... ტანსაცმელზეც. ორ მათგანს უფრო უშუალო ნაცნობობა დაუმყარებია ბაკურიანის თოვლთან, ხოლო მესამეს. მათი „გამოცდილებით“ გამდიდრებულს, ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია თხილამურებზე ამხედრება.

ესეც სრულიად არაფერს ნიშნავს! თოვლში ამოგანგლული ტანსაცმელი ჩამოიბერტყება, ფერდობზე სრიალიც თანდათანობით გაადვილდება, წვრილ-წვრილი მარცხი სასიამოვნო, ხალისიან მოგონებად გარდაიქმნება და საბოლოოდ, დარჩება ტკბილზე-ტკბილი განცდები და მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილი ულამაზესი სურათები ბაკურიანის — „თეთრი ზღაპრის“ სინამდვილიდან.

ფოტოეტიუდი ფ. კრიმსკისა.



✦ უკანასკნელ საათს

ბაკურიანი, 15 იანვარი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** დღეს მოსწავლეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მოეწყო შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. 17-18 წლის ჭაბუკებს შორის გაიმარჯვა პირად პირველობაში მონაწილემ, ბაკურიანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე გ. ჯიჩოევმა — 1.14,5, ხოლო გოგონათა შორის — მესტიელმა მეათეკლასელმა. ნ. ფალიანმა—58,5. 15-16 წლის ჭაბუკებში პირველი იყო ბორჯომის I გუნდის წევრი, ბაკურიანის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი დ. თვაური — 1.21,4, გოგონათა შორის კი — მისი თანაგუნდელი, VIII კლასის მოსწავლე ე. გავა — 1.01,2.

◆ კლინგენტალი (გდრ), 15 იანვარი. 10 ქვეყნის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა 10 კმ-ზე რბენაში ვ. ჩერნოვამ I ადგილი დაიკავა (34.28). 10 წამით ჩამორჩა მას II ადგილზე გამოსული თანაგუნდელი რ. აჩკინა.

◆ მოსკოვი, 15 იანვარი. დღეს უნგრეთში გაფრინდა ადგილობრივი „ტრუდის“ ხელბურთელ ქალთა გუნდი, რომელიც ზეგ ქალაქ ტატაბანიაში შეხვდება „სპარტაკუსს“. ეს იქნება ამ კოლექტივთა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. განმეორებითი თამაში გაიმართება 24 იანვარს მოსკოვში.

ოლიმპიელი — სპეცკორ „ლელოსი"

პასუხი სამ შეკითხვაზე

— რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ტოკიოში?

— ფინალური ჭიდილი იაპონელ ო. ვატანაბესთან. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ოლიმპიადის ქვეყანაში უფრო დასამახსოვრებელი ვერაფერი ვნახე. საქმე ისაა, რომ ჩემს კოლეგებთან შედარებით, პირდაპირ შავ დღეში ვიყავი — ჩემს ერთადერთ საზრუნავს შეადგენდა იმ ზედმეტი კილოგრამების დაკლება, რომელმაც უკანასკნელ ხანებში სიცოცხლე გამიმწარა. ორთქლის აბანო — დარბაზი — ბინა. მთელი ოლიმპიადის მანძილზე ამ საბედისწერო სამკუთხედის ტყვეობაში ვიმყოფებოდი. სხვა საქმისათვის უბრალოდ დრო არ მყოფნიდა, და მართალი გითხრათ, არც ხალისი მქონდა. ამიტომ არსად დავდიოდი, არაფრით ვერთობოდი...

ოლიმპიადა ჩემთვის მხოლოდ ოქროს მედლისთვის ბრძოლას ნიშნავდა და რადგან ამ ბრძოლაში ანგარიში სახელგანთქმულ ვატანაბესთან უნდა გამესწორებინა, ცხადია, მეხსიერებაში ყველაზე მეტად ეს შეხვედრა აღმებეჭდა. შემეძლო თუ არა იაპონელის დამარცხება? ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია: ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის ღირსი თუ ვინმე იყო, ეს, უპირველეს ყოვლისა, ვატანაბე გახლდათ. ამდენად, მისი გამარჯვება სამართლიანად მიმაჩნია. იაპონელი თანამედროვეობის უდავოდ ერთ-ერთი უნიჭიერესი მოჭიდავეა.

— რომელმა სპორტსმენმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ისევ და ისევ ვატანაბემ. იგი ჭიდაობისთვისაა გაჩენილი და, ჩემი აზრით, საერთაშორისო სარბიელს დიდხანს შერჩება. სხვათა შორის, იაპონელს უაღრესად დახვეწილი ტექნიკისა და სალი ტაქტიკური აზროვნების გარდა, აქვს ერთი ისეთი კოზირი (ეს სპორტსმენის თანდაყოლილი თვისებაა), რომელიც ხელსაყრელ პირობებს უქმნის მის „მარადიულობას". ვატანაბე წონას თითქმის არ იკლებს, რის გამოც ყოველი ბრძოლის — შეჯიბრების წინ, იდეალურ ფორმაშია. ვატანაბე იშვიათად კარგავს ქულას. ოლიმპიურ ტურნირში მას ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ აართვა ქულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ხალიჩაზე მუხლდაკრულს ვერ ნახავთ. მასთან ბრძოლა ძალიან სახიამოვნოა.

— კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გამოსვლით?



— კმაყოფილი ვარ იმდენად, რამდენადაც III ადგილი ოლიმპიურ ტურნირში წარმატებად მიმაჩნია. კატეგორიულად არ ვიზიარებ იმათ აზრს, ვინც ჩემპიონატებში I ადგილის მეტს ვერაფერს ხედავს. ჩემი პოზიცია ასეთია: ყოველ დიდ შეჯიბრებაში (მით უმეტეს, ოლიმპიურ ტურნირში) გამოდიან მოჭიდავეები, რომლებიც შენსავით წარმატებისკენ ისწრაფვიან. ეს პრეტენზიები საფუძვლიანი და სამართლიანია და უფლება არ მაქვს პატივისცემის გარეშე მოვიხსენიო ისინი.

სხვა ამბავია, რომ ოლიმპიურ ტურნირში მესამეზე უკეთესი ადგილის დაკავება შემეძლო. ყოველ შემთხვევაში, ბულგარელი ს. კოლევი უნდა დამემარცხებინა. მაგრამ მთელმა რიგმა ობიექტურმა მიზეზებმა, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგები, „ხელი ამაღებინა ამ განზრახვაზე". გულდასაწყვეტი ჩემსა და კოლევის შეხვედრაში ის იყო, რომ ბულგარელი ბრძოლას გაურბოდა, რის გამოც მოულოდნელად მეორე საზრუნავიც გამიჩნდა: როგორმე ლეიბს გარეთ არ გამეშვა მეტოქე და ილეთი ჩამეტარებინა. მაგრამ კოლევთან — ამ გამოცდილ ოსტატთან, ძნელია ორივე ამოცანის წარმატებით განხორციელება და აი, შედეგიც: ფრე, რომელმაც III საპრიზო ადგილი მარგუნა.

თავის მართლებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ კენჭისყრაც უიღბლო გამოდგა ჩემთვის. ჩამოვთვლი მხოლოდ ჩემს მეტოქეთა გვარებს: ახტარი (პაკისტანი), შაჰინი (თურქეთი), იასკარი (ფინეთი), დუგლასი (აშშ), სეიპფური (ირანი), კოლევი (ბულგარეთი) და ვატანაბე (იაპონია). ამ ძლიერ კამპანიაში 5 ბრძოლა მოვიგე, 1 ფრედ დავამთავრე და 1 წავაგე. ოლიმპიადის მეორე პრიზიორის — კოლევის მაჩვენებლები კი ასეთი იყო: 3 მოგება, 1 ფრე და 1 დამარცხება, სულ 5 შეხვედრა. აი, კენჭისყრის უკუღმართობის კიდევ ერთი მეტყველი მაგალითი.

ნოდარ ხოხაშვილი

წუთები, რომლებიც წლებს „უდრის"

შრომის ნაყოფიერება და მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობა — აი, ის ორი ბერკეტი, რომლებზეც დამყარებულია ჩვენი საზოგადოების ეკონომიური და ფიზიკური განვითარება.

შრომის პროცესის ტექნიკური გაუმჯობესება, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების განხორციელება და მუშა-მოსამსახურეთა ისეთი მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდაა და ხელს შეუწყობს არა მარტო შრომისუნარიანობის შენარჩუნებას, არამედ ჯანმრთელობის დონის ამაღლებასაც, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ამ მხრივ მრავალ საშუალებას შორის ერთ-ერთი მთავარია საწარმოო ტანვარჯიში და სხვა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ამას წინათ შესწავლილ იქნა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება „სპარტაკში" შემავალი თბილისის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შორის საწარმოო ტანვარჯიშისა და სხვა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა დანერგვისა და მათი განხორციელების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ბევრ საწარმო-დაწესებულებაში ეს საქმე ჯეროვან დონეზე დგას: სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება, ინერგება საწარმოო ტანვარჯიში წარმოებათა განყოფილებებსა და საამქროებში; საზოგადოებრივ საწყისებზე აქ შექმნილი მეთოდური საბჭოები დამაკმაყოფილებლად ასრულებენ ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, ნაყოფიერად მუშაობენ საზოგადოებრივი ფიზკულტურის ინსტიტუტები და აი, შედეგმაც არ დააყოვნა: შემცირდა ავადმყოფობის შემთხვევები, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკური განვითარების დონე, იქმნება მეტი პროდუქცია.

1964 წელს წინა წელთან შედარებით საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვი თბილისის „სპარტაკის" წარმოება-დაწესებულებებში 5235-მდე გაიზარდა. საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 17 ათასზე მეტი კაცი. ასეთ საწარმო-დაწესებულებებს შეიძლება მივაკუთვნოთ თბილისის წყალსადენის სამმართველო, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საყოფაცხოვრებო კომბინატი, კინოსტუდია „ქართული ფილმი".

მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაზე, ნაკლებად ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, სუსტად წარმართავენ აგიტაცია-პროპაგანდას.

თბილისის ფოსტამტში (უფროსი ვ. გაბიტაშვილი) საწარმოო ტანვარჯიში მხოლოდ 5 განყოფილებაში ტარდება და ისიც არასისტემატურად. 72 საფოსტო განყოფილებაში კი, სადაც 1500 კაცი მუშაობს, ამ მხრივ არაფერი კეთდება. თბილისის № 1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორას ყველა პირობა აქვს საწარმოო ტანვარჯიშის დასანერგად, მაგრამ 1961 წლიდან ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ აქ გააუქმა ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი. ამის გამო მოწინავე კოლექტივში სავსებით ჩაიფუშა ფიზკულტურული მუშაობა. მსგავსი მდგომარეობაა ქალაქის პირველ საავადმყოფოში, „თბილმრეწვვაჭრობაში", „თბილპურვაჭრობის" ტრესტში, „თბილგასტრონომში" და სხვ.

აღნიშნულ ორგანიზაციებში არ მზადდება საზოგადოებრივი ფიზკულტურის ინსტრუქტორები, არ ხელმძღვანელობენ ცენტრალური პროფსაბჭოს 1956 წლის 22 ივნისის დადგენილების საფუძველზე ფიზკულტურის მეთოდისტების სამუშაოზე აყვანის წესით.

დღემდე არ არის დანერგილი საწარმოო ტანვარჯიში ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, ვაქცინისა და შრატის ინსტიტუტში, ქალაქის საინფექციო საავადმყოფოში, სატვირთო ავტო-სატრანსპორტო კანტორაში და ბევრ სხვა საწარმო-დაწესებულებაში. კარგის მთქმელი არ არის ის ფაქტი, რომ „სპარტაკის" მომსახურებაში შემავალ თბილისის საწარმო-დაწესებულებების 346 ფიზკულტურული კოლექტივიდან საწარმოო ტანვარჯიში ტარდება მხოლოდ (ისიც არაორგანიზებულად) 127 კოლექტივში, ხოლო კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის თბილისის 51 ფიზკულტურული კოლექტივიდან — მხოლოდ 7-ში, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკთა კავშირის 50 კოლექტივიდან — ასევე 7-ში, კულტურის მუშაკთა 54 კოლექტივიდან — 9-ში.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა სავალალოა. ამიტომ, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც წინ წასწევს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რომ თვით საწარმო-დაწესებულებების, განყოფილებების, საამქროებისა და სხვა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს, მაგალითი უჩვენონ სხვებს და აიყოლიონ თანამშრომლები. საწარმოო ტანვარჯიშის ყოველი წუთი ხომ ჯანმრთელობის საწინდარია!

ა. რატია,

საქართველოს სპორტკავშირის საზოგადოებრივი განყოფილების — ფიზიკური კულტურა და სპორტი ხალხის ყოფაცხოვრებაში — გამგე.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **საცხენოსნო სპორტში** — „კოლმეურნის" წევრებს: ლ. ხორავას, ა. შონიას (ორივენი — ზუგდიდიდან), ა. თარბას, ლ. პაპბას (ორივენი — გუდაუთიდან), ვ. ოძელაშვილს, რ. ბუგუჩიას (ორივენი — გალიდან), ვ. პარონიანს (თბილისი, „სპარტაკი").

კროსმენთა დასახმარებლად

ივარჯიშეთ ამ გეგმით

ვრესის დღისადმი მიძღვნილი საკავშირო და საერთაშორისო მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე, რომელიც მოსკოვში, მაისის დასაწყისს იმართება, ტრადიციად დამკვიდრდა. კროსის პროგრამაშია რბენა 4 დისტანციაზე — 19-21 წლის გოგონებისთვის — 1000 მ, ჭაბუკებისთვის — 3000 მ, ქალებისთვის — 2000 და ვაჟებისთვის — 8000 მ.

საქართველოს მძლეოსნები ყველა ადრინდელ შეჯიბრებაში, სამწუხაროდ, ერთობ ცუდად გამოდიოდნენ. ჩამორჩენის მიზეზებზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს — ჩვენი მორბენლების სუსტ მომზადებასა და სამზადისის მეტისმეტად დაგვიანებით დაწყებას.

მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელია ამაღლდეს საქართველოს პირველი ათეულის საშუალო შედეგი, რისთვისაც მაისისთვის დაახლოებით ასეთ მაჩვენებლებს უნდა მივაღწიოთ: 8000 მ რბენაში საშუალოდ — 24.45,0-ს (1964 წელს იყო 25.18,4), 2000 მეტრზე — 7.21,8-ს (იყო 7.22,0), 3000 მეტრზე — 9.28,2-ს (იყო 9.30,2), 1000 მეტრზე — 3.21,9-ს (იყო 3.32,4). როგორც ვხედავთ, შარშან მეტად სუსტად გამოვიდნენ გოგონები, ხოლო წელს სათანადო ნორმატივებს მხოლოდ ხუთი ჭაბუკი თუ უპასუხებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტას დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ზამთრისა (27-28 თებერვალს, რუსთავში) და საგაზაფხულო (17-18 აპრილს, თბილისში) კროსებში აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის, ფოთისა და სხვა ქალაქებისა და ყველა რაიონის (განსაკუთრებით იქ, სადაც სათხილამურო სპორტია დანერგილი) კარგად მომზადებული სრული გუნდებით მონაწილეობა. ამაში სათანადო წვლილი უნდა შეიტანონ დედაქალაქის ტექნიკუმებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმაც.

ერთი სიტყვით, საჭიროა საერთო მონდომება და თავიდანვე რეგულარული, დაუღალავი, გეგმაზომიერი ვარჯიში. მართალია, ყველგან არაა სათანადო პირობები, მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, მაგრამ ფიზაღზრდის მასწავლებლები და ინსტრუქტორები ვალდებული არიან ყველა მსურველს დაეხმარონ.

ამავე მიზნით — კროსში მეცადინეობის მსურველთა დასახმარებლად — რედაქცია გაზეთის ფურცლებზე თვეში ერთხელ დაბეჭდავს საწვრთნელ გეგმას. ბალახიან ბილიკზე, ან ნაკალ თოვლზე სასურველია ერთად ვარჯიშობდეს 4 ან მეტი ფიზკულტურელი. სპორტსმენს ფეხზე უნდა ეცვას კედები ან წაღები, სხეულზე — ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი, მაგრამ იგი ჩათბუნებული არ უნდა იყოს. სუნთქვა ხდება ცხვირით, ან ცხვირითა და პირით ერთდროულად. დაუშვებელია ცხვირსახოცით პირის დაცობა. რბენის დროს ნიადაგს ეხჯინება ტერფის წინა ნაწილი.

პირველმა ვარჯიშებმა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს კუნთების ტკივილი. ეს კუნთების კარგი დატვირთვის ნიშანია და მალე გაივლის წვრთნის გაგრძელების შემთხვევაში. პირველი ვარჯიშების შემდეგ გამოიყენეთ წამმზომი.

გთავაზობთ იანვრის მეორე ნახევარში საწვრთნელ გეგმას (იხ. ცხრილი).

ცხრილში მოცემული დღეები დოგმას არ წარმოადგენს. ისინი შეიძლება შეიცვალოს ორშაბათით, ოთხშაბათითა და პარასკევით.

ყოველი წვრთნის დაწყებას წინ უნდა უძღოდეს დინჯ ტემპში 10-20-წუთიანი რბენა. შემდეგ სრულდება 10-15 ზოგადგამავითარებელი ვარჯიში (ჩაჯდომი, დახრა, ხელებზე აძალვა და ა. შ.), ხოლო წვრთნის ბოლოს — დამამშვიდებელი ვარჯიშები, ან 10-15-წუთიანი ნელი სირბილი.

წვრთნის პროცესში წამოჭრილ სიძნელეებზე, გაურკვეველ საკითხებზე, კერძოდ, იმაზე თუ როგორ გეხმარებიან ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები ამ საქმეში, მოგვწერეთ მისამართით: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს" რედაქცია. „პრავდის" „კროსი".

კ. მალიშკოვი,

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ვ. ნელაშკოვსკი,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი.

წვრთნის შინაარსი

დღეები	ვაჟები	ქალები
სამშაბათი	1. ადგილიდან ან გამორბენით სიგრძეზე ხტომა — 10-15-ჯერ 2. 5-7 კგ ბირთვის (ქვის) კვრა — 15-20-ჯერ 3. ბურთით თამაში (კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ლელო) — 30 წ.	1. ადგილიდან სიგრძეზე ხტომა — 8-10-ჯერ 2. 3-4 კგ ბირთვის (ქვის) კვრა — 10-15-ჯერ 3. ბურთით თამაში (კალათბურთი, ხელბურთი) — 30 წ.
ხუთშაბათი	1. ადგილიდან ან გამორბენით სიგრძეზე ხტომა — 10-15-ჯერ 2. ძალისმიერი ხასიათის წყვილთა ვარჯიში (გადაძალვა, ჭიდაობა, კვრა) — 10-15 წ. 3. კროსი — 25-40 წ.	1. ადგილიდან სიგრძეზე ხტომა — 6-10-ჯერ 2. კროსი — 15-25 წ.
შაბათი	1. ტანვარჯიში დარბაზში — 30 წ. 2. 15-20 კგ შტანგით ვარჯიში (აკვრა, ატაცი) — 30 წ. 3. ბურთით თამაში — 60 წ.	1. ტანვარჯიში დარბაზში — 40 წ. 2. ბურთით თამაში — 30 წ.
კვირა	1. ტყორცნები, კვრა — 20 წ. 2. კროსი — 25-40 წ.	1. ტყორცნები, კვრა — 20 წ. 2. კროსი — 15-25 წ.

სეზონის გაკვეთილები და იმედები

ვ. ვორონინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დიდი საუბარი ფეხბურთზე

ახლა, როცა საფეხბურთო მინდვრები თოვლითაა დაფარული და ფეხბურთის მოყვარულები მომავალი სეზონის მოლოდინში ამოკლებენ დროს, მე სულ უფრო ხშირად ვფიქრობ ფეხბურთზე და წარმომიდგენია იგი იმ საცდელ ბაჭიად, რომელიც ექსპერიმენტატორის მაგიდაზეა გართხმული. ვხედავ სკალპელებით ხელში მის თავზე მდგარ მიმომხილველებს, სპეციალისტებსა და მწვრთნელებს, მესმის პესიმისტური თუ ოპტიმისტური ხმები. დღეს ფეხბურთმა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე გადაინაცვლა...

მართლაც, განვლილმა სეზონმა საკმაოდ უხვი მასალა მოგვცა აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის, და ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში არ ყოფილა ისეთი წინააღმდეგობებით აღსავსე წელი, როგორიც 1964 იყო. ბევრს ვფიქრობდი და ვფიქრობ იმაზე, რომ ამ დადებითისა და უარყოფითის შედარებით, კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის ანალიზით მივაგნო რაციონალურ მარცვალს. ამიტომ, როცა ახალი ამბების სააგენტომ შემომთავაზა დამეწერა წერილი თანამედროვე ფეხბურთზე, სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება.

ტაქტიკა, სქემა თუ ანსამბლი?

ბოლო წლებში ფეხბურთის ტაქტიკაზე საუბარმა ისეთი ტრადიციული ხასიათი მიიღო, რომ ეს ზოგჯერ მოსაბეზრებელიც ხდება. აი, უკვე 6 წელია საფეხბურთო გამოცემათა ფურცლებს არ სცილდება ლაპარაკი ბრაზილიურ სქემაზე. რატომ გამოიწვია ფორმულამ 4+2+4 ამდენი დისკუსია? იმიტომ, რომ სწორედ მისი წყალობით ავიდა ფეხბურთი ახალ საფეხურზე, იმიტომ, რომ შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე მან საკმაო დამაჯერებლობით გაუსწორა ანგარიში თავის წინამორბედს — „დუბლ-ვეს". 1958 წლის შემდეგ მთელი საფეხბურთო სამყარო შეუდგა ხელახალ შეიარაღებას და სადღეისოდ (ჩემის აზრით, ჩილიში ამას ასეთი დარწმუნებით ვერ ვიტყოდი) ეს ხელახალი შეიარაღება მთლიანად დასრულდა და დადგა მისი განხილვის დრო.

1964 წლის საფეხბურთო სეზონი გახლდათ სწორედ ჩვენი ტაქტიკური მიღწევების დათვალიერების სეზონი. პირველი ქვეჯგუფის ყველა კლუბი, რომლებთანაც მე მომიხდა შეხვედრა, თამაშობდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ ეთამაშათ ბრაზილიური სქემის ვარიანტებით.

კლასიკური სქემა 4+2+4 დამახასიათებელი იყო პირველობის პრიზიორთათვის. განსაკუთრებით ნათლად ჩანდა ეს ნახაზი ახალი ჩემპიონის — თბილისის „დინამოს", მოსკოვის არმიელთა და ჩვენი გუნდის — მოსკოვის „ტორპედოს" თამაშში. სხვა კლუბების უმეტესობამ ამჯობინა ამ სქემის ვარიანტების გამოყენება: შეტევის ხაზზე ტოვებდა 3 ფორვარდს, ან მცველთა რაოდენობა აჰყავდა 6-მდე. სეზონის შედეგებმა თითქოს საკმაოდ ნათლად დაამტკიცა ლიდერთა სიმართლე, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ სსრ კავშირის ახალი პირველობის დასაწყისში კლასიკური ფორმულის მიმდევარნი მაინც უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ნუ დავწამებთ მწვრთნელებს, რომ მათ არ სურთ ობიექტური ანალიზის გაკეთება. საქმე იმაში როდია. თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკამ მათ უდიდესი მოთხოვნები წაუყენა თანაბარი ძალის, მაღალი კვალიფიკაციის ანსამბლების შერჩევის საქმეში და სწორედ ეს ძალები არა გვყავს საკმაო რაოდენობით.

შემოდგომაზე ბევრს წერდნენ მოსკოვის „სპარტაკის" წარუმატებლობაზე. მოყავდათ სხვადასხვა არგუმენტი, რომელთა შორის პრიორიტეტი ჰქონდა მორალურ-ფსიქოლოგიურ ჩამორჩენას. მე კი სპარტაკელთა წარუმატებლობის მიზეზებს სხვა ამბებში ვხედავ. გუნდს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აითვისა ახალი ტაქტიკა, 1964 წელს ძალები აღარ ეყო ბოლომდე განეხორციელებინა იგი. სპარტაკელთა ანსამბლს საკმაო რაოდენობით არა ჰყავდა ძლიერი ფორვარდები და თითქმის მთელი სეზონის მანძილზე მცირერიცხოვანი ძალებით იბრძოდა წინა ხაზზე. სწორედ ამის გამო აქვს გუნდს დაბალი შედეგიანობა და საკმაოდ მოკრძალებული ადგილიც სატურნირო ცხრილში.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მოსკოვის დინამოელთა შესახებ, სადაც თავდასხმის ხაზი ჩვეულებრივზე სუსტად გამოიყურებოდა.

მე არ ვემხრობი იმ თეორეტიკოსებს, რომლებსაც ბრაზილიური სისტემა დაცვითად მიაჩნიათ, რომ იგი სანახაობრივად ულამაზოა. თვით ბრაზილიელებმა და მათმა მიმდევრებმა ევროპის საუკეთესო გუნდებში ნათლად დაამტკიცეს საწინააღმდეგო. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — მილანის „ინტერნაციონალე", რომლის მწვრთნელს ელენიო ერერას ამ ბოლო ხანებში „საფეხბურთო ბეტონის მამას" უწოდებენ, ალბათ ვერ მოიპოვებდა ასეთ წარმატებებს, რომ თავის ანსამბლში არ ჰყოლოდა ფორვარდების მძლავრი რგოლი. ჟაირი, მაცოლა, მილანი, სუარესი და კორსო — ასეთ ხუთეულს შეუძლია იოლად დაარღვიოს რომელიც გნებავთ გუნდის დაცვა. გაიხსენეთ თუნდაც მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე „ინტერსა" და ბუქარესტის „დინამოს" შორის. ანგარიში 5:0 იტალიელთა სასარგებლოდ ფრიად მრავლისმეტყველია.

თბილისის დინამოელთა წარმატებას შარშანდელ ჩემპიონატში მე აგრეთვე მივაწერ ფორვარდების საუცხოო ანსამბლს, რომელთაგან თვითეული უაღრესად ტექნიკურია, სწრაფი და ტაქტიკურად ერუდირებული.

ამგვარად, განვლილმა სეზონმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა აითვისეს თანამედროვე საფეხბურთო ტაქტიკის ფორმალური მხარე, მაგრამ ჯერ ვერ შეძლეს კარგი შემსრულებლების შერჩევა, თანაბარძალიანი და ძლიერი შემადგენლობის დადგენა. აქედან — წარუმატებლობა და გაწბილება!

ტექნიკა და სისწრაფე

წარსული წლების მანძილზე ჩვენ აქსიომად გვქონდა მიჩნეული, რომ საბჭოთა ფეხბურთი ყველაზე სწრაფია. ჩამოვრჩებოდით ტექნიკაში, ტაქტიკურ მრავალფეროვნებაში, მაგრამ სისწრაფეში ტოლი არა გვყავდა. და აი, ფინალურმა მატჩებმა ევროპის თასზე თითქოს ცივი შხაპი გადაგვასხა თავზე: აქსიომა უკვე აქსიომა აღარ იყო და საკუთარი იარაღი ჩვენვე შემოგვიბრუნდა. რაშია საქმე? რატომ მოხდა, რომ ესპანელებიც და ზოგიერთი სხვა გუნდიც ჩვენზე სწრაფად მოქმედებდა?

საქმე იმაშია, რომ ფეხბურთის ორი ძირითადი კომპონენტი — ტექნიკა და სისწრაფე მჭიდროდაა ერთმანეთს დაკავშირებული. საბჭოთა მაყურებლებმა საკმარისად ნახეს ამხანაგური მატჩები ბრაზილიის კლუბებთან, რომელთა მოთამაშეებს ბურთის ფლობის შესანიშნავი ტექნიკა ჰქონდათ, მაგრამ კუს ნაბიჯით მოძრაობდნენ მინდორზე. ამ მატჩებს ჩვენ, როგორც წესი, იოლად ვიგებდით. შემიძლია შევეხო სხვა უკიდურესობასაც, რომელიც რიგ საბჭოთა კლუბებს, განსაკუთრებით „ა" კლასის ახალბედებს ახასიათებს: მათი ოსტატობის არსენალში ირიცხება მხოლოდ სისწრაფე და ფიზიკური მომზადება. ბუნებრივია, რომ საბოლოოდ მათი ადგილი ცხრილის ბოლოში აღმოჩნდა.

რამდენიმე წლის წინ საბჭოთა ფეხბურთში მოთამაშეთა ტექნიკის ამაღლებაზე აიღეს კურსი. მახვილის სათავეში მოექცა სიმსუბუქე და დაუძაბავობა ბურთის დამუშავებისას და უნდა ვაღიაროთ, ძველი ერთეულების ნაცვლად ახლა გვყავს ათეულობით მაღალტექნიკური ფეხბურთელი. ტექნიკის მრავალი საიდუმლოება ჩვენ უკვე აღარ გვაშინებს.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთი უკიდურესობიდან თავი ამოვყავით მეორეში: ვითვისებდით ტექნიკას და... დაგვავიწყდა სისწრაფე.

რასაკვირველია, ჩვენ დღესაც შეგვიძლია სწრაფად ვიმოძრაოთ მინდორზე, მაგრამ შეზღუდული ვართ ტექნიკის მხრივ, რომელიც მძიმე საწონებივით გვიბორკავს ფეხებს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით შეგვეთავსებინა ტექნიკა სისწრაფესთან. გატაცებული ვართ გადაცემათა ტექნიკური შესრულებით, დიდ ხანს გვიჭირავს ბურთი, დროს ვკარგავთ მისი დამუშავებისას. დაგვავიწყდა, რომ, როცა ტექნიკის ამაღლებაზე ვმუშაობდით, უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიგვექცია სწორედ ჩქაროსნული ტექნიკისთვის.

ამაშია ჩვენი შეცდომა, რომლის თავიდან აცილება შეძლეს თუნდაც იმავე ესპანელებმა. მათ ბრწყინვალედ შეუთავსეს ერთმანეთს ტექნიკა და სისწრაფე და ამის წყალობით დაგვამარცხეს მადრიდში. ისინი სწრაფად ახერხებდნენ კონტრიერიშის ორგანიზაციას, ჩვენზე უფრო მანევრულად და მრავალფეროვნად მოქმედებდნენ და ამასთან ჩვენზე უკეთ თამაშობდნენ თავით.

სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ, რომ თავით თამაში საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი არსებითი მინუსია. მაგალითად, ევროპის თასზე მოთამაშე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ფაქტიურად არ იყო არც ერთი ფეხბურთელი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა თავით თამაშის ტექნიკას. ა. შესტერნიოვი, საუკეთესო მცველი, ტანმაღალი და სწრაფი ფეხბურთელი, თითქმის ყველა მაღალ ბურთს აგებდა პატარა ესპანელ მარსელინოსთან და, საერთოდ, ჩვენს ფეხბურთში მხოლოდ კიეველი ლ. ბაზილევიჩი შეგვიძლია დავასახელოთ, რომელიც ოსტატურად თამაშობს ჰაერში.

აქ კვლავ მინდა დავუბრუნდე შარშანდელ ჩემპიონატს. თბილისის დინამოელთა ანსამბლმა შარშანდელ სეზონში ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენც გვყავდეს კლუბები, სადაც გონივრულადაა შერწყმული ერთმანეთთან ტექნიკა და სისწრაფე.

ახალგაზრდობა და პერსპექტივები

საბჭოთა ფეხბურთის ტაქტიკურმა გარდატეხამ, რომელიც 1964 წლის სეზონში დამთავრდა, უფროსი თაობის მრავალი ოსტატის წინაშე დააყენა საკითხი — ეფიქრა ახლებურად, შეეცვალა თამაშის მანერა. ამ ძნელ ამოცანას ყველამ როდი გაართვა თავი. ახალგაზრდობა, რომელიც ახლა მოდის საბჭოთა ფეხბურთში, რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათთვის ბრაზილიური სისტემა ტაქტიკური კანონების ერთადერთ უტყუარ წიგნად იქცა და დიდ ფეხბურთში ისინი მოვიდნენ ისე, რომ ზეპირად შეისწავლეს ეს კანონები.

მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ახალ სახელებს, რომლებიც განვლილ წელს გამოჩნდნენ. ეს სახელები საკმაოდ ბევრი იყო და, ჩემი აზრით, დამთავრებულ სეზონს შეიძლება საიმედო ეწოდოს. საბჭოთა ფეხბურთი თანდათან პოულობს საძიებელს, თანდათან ჩნდებიან ახალი ტიპის მოთამაშეები. 18 წლის ა. ბანიშევსკი (ბაქო), მოსკოვის დინამოელი 20 წლის ი. ავრუცკი და როსტოველი ა. ესკოვი. მათ დაუმატეთ თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობის თითქმის ყველა მოთამაშე—აი, ის სახელები, რომლებიც საფუძველს მაძლევენ მომავალს ოპტიმისტური თვალით ვუყურო.

1964 წელს ორჯერ მომიწია თამაში ევროპის ნაკრებ გუნდში. ახლო ნაცნობობამ ამ გუნდის მოთამაშეებთან (მათი ოსტატობა კი არ საჭიროებს რეკომენდაციებს) კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ თუ გინდა კარგად ითამაშო თანამედროვე ფეხბურთი, საჭიროა დიდი შრომის გაწევა, განუწყვეტელი მუშაობა წვრთნის პროცესში. ეს ჩემი დევიზია და მინდა იგი ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელის დევიზადაც იქცეს.

აი, ის აზრები, რომლებითაც მე შევხვდი ახალ, 1965 წელს.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის საკლუბო ნაკრები ბუდაპეშტში ეთამაშება უნგრეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „ფერენცვაროშს". საბჭოთა თავდამსხმელს მ. კრასნიცკის გააქვს ბურთი მეტოქის კარში. უნგრელები დამარცხდნენ — 2:6.

● **კიევი, 15 იანვარი.** გუშინ აქ გაიმართა სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა XXXII ჩემპიონატის 12 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ვასიუკოვი თამაშის განუახლებლად დანებდა კორჩნოის, ხოლო აეერბახმა კარგად გამოიყენა თავისი მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და დაამარცხა ოსნოსი, პეტერსონმა მოუგო სუეტინს. 12 ტურის შემდეგ კორჩნოის 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ხოლო ბრონშტეინს, შტეინსა და შამკოვიჩს — 8–8 ქულა.

● **ლენინგრადი, 15 იანვარი.** კავგოლოვოს თოვლიან ტრასებზე არ წყდება სპორტსმენთა პაექრობა. ეს-ეს არის დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი და სტარტებზე ისევ მოთხილამურეები გამოვიდნენ: ამჯერად არმიელთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრების მონაწილენი — სსრ კავშირისა და ფინეთის შეიარაღებულ ძალთა გუნდები. 25-კილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, რომელსაც ლიდერობდა ნ. პუზანოვი.

● **მოსკოვი, 15 იანვარი.** საკავშირო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდის სეზონისადმი მომზადების საკითხი.

● **მოსკოვი.** იუგოსლავიის ქალაქი ლიუბლიანა აპრილში დიდ სპორტულ სარბიელად გადაიქცევა. აქ დაიწყება მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებმა უკვე დაიწყეს მზადება ამ ასპარეზობისთვის. სამზადისის ერთ-ერთი ეტაპია საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 23-28 იანვარს გაიმართება მოსკოვში. 4–7 თებერვალს ხარკოვში გაიმართება სსრ კავშირის პირველობა, რის შემდეგ საბოლოოდ დადგინდება ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა.

● **სან-ფრანცისკო.** დახურულ შენობაში გამართულ ასპარეზობისას ბევრმა მძლეოსანმა მოიპოვა მაღალი შედეგი. როგორც ვიუწყებოდით, ცნობილი ამერიკელი ზანგი სპორტსმენი რალფ ბოსტონი პროგრამის სამ სახეობაში აპირებდა მონაწილეობას. იგი გამოვიდა სიგრძეზე ხტომის, სამხტომისა და 60 იარდზე თარჯრბენის სტარტებზე და სამივე ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა: სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 772 სმ (გაიმარჯვა ჰოპკინსმა — 777 სმ), სამხტომში — 15,00 მ (პირველი იყო ჰორნი — 15,18 მ), 60 იარდზე თარჯრბენში — 7,3 წამი (მას 0,1 წამი მოუგო ლინდგრენმა).

აკრობატთა მეორე ტრადიციული...

აკრობატთა მეორე ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც ამას წინათ ჩატარდა მოსკოვში, არაფრით ჩამოუვარდებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატს. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. პირად შეჯიბრებაში გამოდიოდნენ კიევის, თბილისის, ლვოვის, ომსკის, ბათუმის, გროზნოს ცალკეული აკრობატებიც.

ყველაზე საინტერესო იყო მხტომელ აკრობატთა შორის გამართული ასპარეზობა. ამჯერად თბილისელმა ვ. ლიტვინოვმა არავის დაუთმო I ადგილი. მეორე იყო უკრაინის წარმომადგენელი ვ. ნეჩაევი, მესამე — გ. გერასიმოვი (მოსკოვი). მხტომელ ქალთა შორის გაიმარჯვა ბელორუსიის წარმომადგენელმა ზ. დანიუკმა.

ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ უკრაინის წარმომადგენლები ილუშენკო და ტახტაროვი. საქართველოს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლები გ. დავიდოვი და თ. ხუდოევი III ადგილით დაკმაყოფილდნენ. ლენინგრადის წარმომადგენლებმა — ლაზარევამ და რაშკოვმა გაიმარჯვეს შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ჯგუფურ ვარჯიშებში მიუწვდომელი იყო უკრაინის ოთხეული (ნიკოლაევი, ჯერიხი, გურაი და მარტინიუკი).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა, 2. ბელორუსია, 3. მოსკოვი. საქართველოს აკრობატებმა V ადგილი მოიპოვეს.

მ. ქელეხსაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

შეხმატკბილებულად

ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით აქ მოწყობილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის მოედნები, საჭიდაო დარბაზი.

ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. გვილავა ხელმძღვანელობს, დიდ მუშაობას ატარებს სტუდენტი ახალგაზრდობის სპორტულ სექციებში ჩაბმისთვის. ნაყოფიერად საქმიანობენ ტანვარჯიშის, ჭიდაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის სექციები, რომლებშიც გაერთიანებულია 200-ზე მეტი ფიზკულტურელი. ხშირად ეწყობა შიდასატექნიკუმო სპორტული ღონისძიებანი, ჰყავთ ძლიერი სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით გამოდიან რაიონულ სპარტაკიადებსა და სხვა ღონისძიებებში.

ტექნიკუმის ახალგაზრდა სპორტსმენებმა გასულ წელს ტანვარჯიშულ გამოსვლებში გამარჯვებისათვის დაიმსახურეს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი და სიგელები. ტექნიკუმის დირექცია (დირექტორი გ. ლატარია) დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურულ კოლექტივს, სპორტული სექციების მუშაობას, რაც იმის საწინდარია, რომ მომავალში ტექნიკუმელი სპორტსმენები კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებენ.

გ. ალშიბაია
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ფაქტები. ჩემპიონები. რეკორდები. სენსაციები...

▲ **ლიეჟი.** ბაზრობათა თასის გათამაშების მერვედფინალში „ფკ ლიეჟის“ (ბელგია) ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე დაამარცხეს მადრიდის „ატლეტიკო“ — 1:0. 3 მარტს მადრიდში შედგება საპასუხო მატჩი.

▲ **რიო-დე-ჟანეირო.** იტალიის საფეხბურთო კლუბის „იუვენტუსის“ წარმომადგენელმა წარმატებით დაამთავრა მოლაპარაკება „ბოტაფოგოს“ ხელმძღვანელებთან გარინჩას შესყიდვის თაობაზე. ფეხბურთელის თქმით, იგი მომავალ სეზონში იტალიის პირველობაზე „იუვენტუსის“ ღირსებას დაიცავს.

▲ **ნიუ-იორკი.** აშშ-ის სპორტულმა ჟურნალისტებმა და რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტებმა გასული სეზონის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დონ შოლანდერი. უძლიერესთა ათეულში შევიდა სამი არაამერიკელი სპორტსმენი — პ. სნელი (ახალი ზელანდია), ა. ბიკილა (ეთიოპია) და ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი).

▲ **ლოს-ანჯელოსი.** როგორც ცნობილი გახდა, აშშ-ის უძლიერესი ჩოგბურთელი ჩ. მაკ-კინლი მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის გათამაშებაში, ვინაიდან სპორტსმენმა მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ კომერციულ ფირმაში და წვრთნისთვის მას დრო აღარ რჩება.

▲ **მადრიდი.** აქ დამთავრდა სტუდენტ ვაჟთა გუნდების მსოფლიო პირველობა ხელბურთში. ოქროს მედლები წილად ხვდათ გფრ-ის ხელბურთელებს, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მასპინძლები — 10:7 (5:6). III ადგილისთვის ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა სტუდენტთა შორის ყოფილმა ჩემპიონმა — შვეციის გუნდმა. მან მოუგო საფრანგეთის ნაკრებს — 22:17 (12:9). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: V — ფინეთი, VI — ჰოლანდია, VII — ტუნისი, VIII — მაროკო, IX — პორტუგალია, X — ბელგია.

▲ **ავსტრალიის** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მოხდა სენსაცია: ავსტრალიელი როი ემერსონი დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონმა ჟაკ ჟოფრემ — 6:3, 3:6, 6:3.

▲ **პარიზი.** ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ აგრძელებს 1964 წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და გუნდების ათეულების გამოქვეყნებას. ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დასახელებულია ძლიერესი გუნდები ფარიკაობაში. სიის თავშია სსრ კავშირი. შემდეგ მოდიან უნგრეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ის, ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, რუმინეთის და შვეციის გუნდები.

▲ **ვარშავა.** სოფიაში წელს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში გოგონებს შორის. კალათბურთის პოლონეთის ფედერაციამ ასპარეზობისათვის უკეთ მომზადების მიზნით მოაწყო საერთაშორისო ტურნირი ბულგარეთის, გდრ-ისა და უნგრეთის გუნდების მონაწილეობით. I ადგილზე გამოვიდნენ პოლონელი გოგონები, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს. ერთი დამარცხებით II ადგილზე დარჩნენ ბულგარელები. ერთი გამარჯვებით III ადგილზე არიან უნგრელები.

▲ **სტოკჰოლმი.** შვეციის მოციგურეთა ასოციაციამ გამოაცხადა ევროპის მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთა სია. ქვეყნის ნაკრებში შევიდნენ: ე. იუჰანსონი, ჩ. კარლსონი, ივარ ნილსონი, იონი ნილსონი, ე. სანდლერი და ი. სლოტი.

რა მოხდა სამხრეთ ამერიკაში?

როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები სამხრეთ ამერიკას გაემგზავრა საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად.

გერმანელებმა საუკეთესოდ ითამაშეს პირველი მატჩი მონტევიდეოში, სადაც დაამარცხეს ურუგვაის ნაკრები — 2:0. სტუმრები მინდორზე გამოვიდნენ ურუგვაის ეროვნული დროშებით ხელში და მაყურებელიც გულთბილად შეხვდა მათ. მატჩის შემდეგ გამართულ ბანკეტზე გერმანელმა ფეხბურთელებმა მრავალი მილოცვა მიიღეს, ხოლო ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ა. ჰილმა გდრ-ის ნაკრებს განმეორებითი მატჩი შესთავაზა. იმავე დღეს გუნდმა მოწვევა მიიღო რიო-დე-ჟანეიროს ტურნირზეც.



გდრ-ის ნაკრები ჩილიში გამგზავრებას აპირებდა, რათა ადრე დადებული პირობის თანახმად მონაწილეობა მიეღო ჩილის კლუბ „კოლო-კოლოს“ მიერ ორგანიზებულ დიდ ტურნირში. 5 იანვარს გერმანელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ჯერ კიდევ მონტევიდეოში იმყოფებოდნენ, მიიღეს დეპეშა: „კოლო-კოლოს“ პრეზიდენტი იტყობინებოდა, რომ ისინი ზემოხსენებულ ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

გამოირკვა, რომ უარი გამოწვეული იყო გფრ-ის საელჩოს ჩარევით. დასავლეთ გერმანიის საელჩომ გაიღო არნახული თანხა 920.000 მარკის ოდენობით, რათა გდრ-ის ნაკრებისთვის ასპარეზობაში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ შენიშნავს, რომ თუ აქამდე ყველაზე ძვირად ღირებულ მოთამაშედ პელე ითვლებოდა, ახლა ჩვენი ნაკრების თვითეული წევრი მასზე ძვირად შეფასდა: — 54.000 მარკა ერთ შეხვედრაშიო!

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც გფრ-ის პოლიტიკური ძალები ერევიან გდრ-ის სპორტულ ურთიერთობებში სხვა ქვეყნებთან. დასავლეთ გერმანიის საელჩოს ინტრიგებისა და სამარცხვინო საქციელის მიუხედავად, გდრ-ის ნაკრები განაგრძობს ტურნეს სამხრეთ ამერიკაში.

მეორე შეხვედრა მონტევიდეოს ნაკრებთან გდრ-ის ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს — 1:1.

სანტ-იაგო. „კოლო-კოლოს“ მიერ ორგანიზებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ ბრაზილიის „სანტოსი“, არგენტინის „რივერ პლეიტი“, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები და ჩილის 3 საკლუბო გუნდი. I ტურში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა „უნივერსიდადი“ (ჩილი) — 4:3.

მატო დამიანოვიჩის პასუხები

თებერვლის შუა რიცხვებში ბუდაპეშტში დაიწყება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც უნგრეთის დედაქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავს ეძღვნება. ასპარეზობაზე მიწვეულია იუგოსლაველი დიდოსტატი მატო დამიანოვიჩი. ბულგარეთის სპორტული გაზეთის „სპორტის“ კორესპონდენტმა თხოვა დიდოსტატს ეპასუხა ორ შეკითხვაზე.

● **ვის ელიან ბუდაპეშტში?**

— ტურნირში ითამაშებს 16 მოჭადრაკე, მათგან — 12 დიდოსტატი: ოთხი — საბჭოთა კავშირიდან (ჯერ არ ვიცით — ვინ), აგრეთვე დარგა (გფრ), ულმანი (გდრ), პადევსკი ან ტრინგოვი (ბულგარეთი), საბო, ლენდიელი, ბილეკი (უნგრეთი), ორი იუგოსლავიიდან (ჯერ არ ვიცით ვინ იქნება მეორე. ივკოვმა უარი განაცხადა) და 3 უნგრელი საერთაშორისო და 1 ეროვნული ოსტატი.

● **თქვენ მილუნკა ლაზარევიჩს მწვრთნელად ახლდით მოსკოვში. რით ხსნით ჩვენი მოჭადრაკის წარუმატებლობას?**

— მილუნკას ფსიქოლოგიურად არ შესწევდა უნარი ბოლო ორ პარტიაში მოეგროვებინა ნახევარი ქულა. სინამდვილეში მხოლოდ მას ჰქონდა გამარჯვების შანსები როგორც სოხუმში, ისე ახლახან მოსკოვში.

მეტიუზის საიუბილეო მატჩში

იაშინი, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო, მასოპუსტი, ეუსებიო, პელე, გარინჩა...

1 თებერვალს სტენლი მეტიუზს 50 წელი უსრულდება. 28 აპრილს იგი თავისი გუნდის „სტოკ-სიტის“ შემადგენლობაში ითამაშებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთაგან შემდგარი გუნდის წინააღმდეგ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინწინ გამოაცხადა, რომ ნებას რთავს ცნობილ ფეხბურთელებს — დი სტეფანოს, პუშკაშსა და ჰენტოს მონაწილეობა მიიღონ ამ შეხვედრაში.

მატჩის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მიწვევა უკვე მიიღეს იაშინმა (სსრ კავშირი), მასოპუსტმა (ჩეხოსლოვაკია) და ეუსებიომ (პორტუგალია).

ბრაზილიელებმა პელემ და გარინჩამ აგრეთვე აღუთქვეს ინგლისის ფედერაციას, რომ მიიღებენ მონაწილეობას საიუბილეო მატჩში.

გამარჯვებულნი

ლენინგრადთან ახლოს, კავგოლოვოში, დამთავრდა სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, ფინეთის, შვეციის, გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებმა შეჯიბრების პირველივე დღეს მოიპოვეს გამარჯვება. 5 კმ რბენაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ოლიმპიური ჩემპიონი, სვერდლოვსკელი კ. ბოიარსკიხი — 18.32. 15 კმ ვაჟთა რბენაში მოულოდნელად ყველას აჯობა ნაკლებად ცნობილმა სპორტსმენმა ვ. კრუგლოვმა (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) — 50.30.

• • •

სურათებზე: ზევით — კ. ბოიარსკიხი დისტანციაზე; ქვევით — ვ. კრუგლოვი უახლოვდება ფინიშს.

ფოტო **ნ. ნაუმენკოვისა** (საკდესი).

უცხოური სპორტი

ხანგრძლივი მოლაპარაკება

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის ერთ-ერთ გათამაშებაში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ „სტად რეიმსი“ (საფრანგეთი) და „პალოსეურა“ (ფინეთი). ვინაიდან იმ ხანებში ფინეთში სათამაშოდ არ ვარგოდა არც ერთი მინდორი, მოწინააღმდეგეებმა მოილაპარაკეს ორივე მატჩი საფრანგეთში ჩაეტარებინათ.

ამ მოლაპარაკებისას მხარეებმა ერთმანეთს გაუგზავნეს... 69 დეპეშა.



უსიტყვოდ.

ნახ. ი. დოიაშვილისა.

ფეხბურთელი ცუდი ქმარია

ქ-მა დიუბუამ პარიზში გახსნა სპეციალური საქორწინო კანტორა სპორტსმენთათვის, რომელმაც სულ მალე მოიპოვა დიდი პოპულარობა.

როგორც კანტორის მფლობელი იუწყება, ყველაზე წესიერი ქმრები ყოფილან მძლეოსნები, ხოლო ცოლებს შორის პირველობა მოცურავეებს აქვთ. ამ თავისებური სტატისტიკის მიხედვით, ფეხბურთელები ცუდი ქმრები აღმოჩნდნენ: ისინი მხოლოდ VII ადგილზე არიან.

მხიარული ტაიმ-აუტი



ცხენოსანი... სლალომის ტრასაზე.

ნახ. ა. ერაძისა.

საინტერესო ციფრები

150 კილომეტრი საათში

ჰოკეი შაიბით ძალიან სწრაფი თამაშია. მწვრთნელი ყოველ 2-3 წუთში ცვლის შემადგენლობას და მაშინაც კი, როცა გუნდი თამაშობს 3 შემადგენლობით, ჰოკეისტს მატჩის მანძილზე უხდება 6-7 კილომეტრის გარბენა ციგურებით. შაიბა ამ ხნის განმავლობაში გადის დაახლოებით 50 კილომეტრს.

კარში ძლიერად დარტყმული შაიბა მიქრის საათში 150 კილომეტრის სისწრაფით.

სპრინტერის ენერგია

ცნობილი გერმანელი სპრინტერი, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში არმინ ჰარი, რომელიც შემდეგ პროფესიონალთა რიგებში გადავიდა, ამას წინათ ტელემაყურებელთა წინაშე წარდგა და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ პირველხარისხოვანი სპრინტერის მიერ სტარტზე დახარჯული ენერგია საშუალოდ 10-14 ცხენისძალას შეადგენს. ფეხების დაწოლა რბენის დროს შეადგენს 10 კილოგრამს 1 კვადრატულ სანტიმეტრზე.

ამიტომაა, რომ მოკლე მანძილებზე მორბენლებს ხშირად მოსდით ტრავმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00516